მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 198

2010 წლის 3 დეკემბერი

ქ. მცხეთა

სოფ. მუხრანში მცხოვრები ელენე ქემხაშვილის მკურნალობისთვის თანხის გამოყოფის შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ'' ქვეპუნქტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მომართვის (№3921 03.12.10წ) საფუძველზე,

1. უფლება მიეცეს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას სოფ. მუხრანში მცხოვრები მოქალაქე ელენე ქემხაშვილის მკურნალობისათვის ოპერაციებისა და მკურნალობის თანხებიდან გამოყოს 1080 (ერთიათას ოთხმოცი) ლარი .

2. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს ამ განკარგულების I პუნქტში აღნიშნული თანხის შპს „საქართველოს ანგიოლოგიისა და სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრი"-ს ანგარიშზე გადარიცხვა.

3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17.

საკრებულოს თავმჯდომარე ანდრო კალანდაძე